

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე


ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება № 1/3 5 01 2017წ.

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ

გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ტ“ და „უ“ ქვეპუნქტებისა და 283-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეიქმნას საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო.
2. საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეობა დაევალოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს თამარ ჩუგოშვილს.
3. დაევალოს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეს, დასამტკიცებლად წარმოადგინოს საბჭოს წევრები ბრძანების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 7 დღისა.
4. ბრძანება საჯაროდ გამოცხადდეს 2017 წლის 5 იანვარს და ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).


ირაკლი კობახიძე